

გაეროს ეროვნული სააგენტოს აჭარის პირობათმომდებელი ობსერვატორიის მონიტორინგი

დღეს მოსალოდნელია წვიმა, მთაში - თოვა, დასავლეთის მიმართულების ქარი - 10-15 მეტრი წაშში, ტემპერატურა სანაპირო რაიონებში - 3-8, შიდა მთიან რაიონებში - 0-5 გრადუსი სითბო, მაღალ მთაში - 3-8 გრადუსი ყინვა. ზღვის წყლის ტემპერატურა 7 გრადუსია, ატმოსფერული წნევა - 760 მილიმეტრი. ხვალ ამინდი შენარჩუნდება, მომდევნო 2 დღეს მოსალოდნელია უნალექო ამინდი.

პირილოსი N იუსი

საქართველოს პარლამენტი ღრმა შეშფოთებას გამოხატავს უკრაინაში შესაძლო სამხედრო ესკალაციის გამო და გამოხატავს ყოველგვარ განზრახვას, რომელიც სუვერენული სახელმწიფოს სუვერენიტეტის და ტერიტორიული მთლიანობის წინააღმდეგ შეიძლება იყოს მიმართული, რაც ახალ საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ უკრაინის, არამედ რეგიონულ მშვიდობას და უსაფრთხოებას, - ამის შესახებ აღნიშნულია უკრაინის მხარდაჭერა რეზოლუციაში, რომლის თაობაზე პარლამენტის უმრავლესობის ლიდერმა მამუკა მდინარაძემ ისაუბრა. მისი თქმით, მცდელობა არ დაუკლიათ იმისთვის, რომ რეზოლუციის ტექსტში გათვალისწინებული ყოფილიყო პარლამენტში შემავალი ყველა ფრაქციის, წევრის პოლიტიკური ინტერესები. მდინარაძემ დასძინა, რომ რეზოლუციის აღნიშნული ტექსტი ძალიან მალე დაინიცირდება.

- უკრაინელები ჩვენი მეგობარი ხალხია. აქედან გამომდინარე, ჩვენთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია, უკრაინაში მშვიდობა საფრთხის ქვეშ არ დადგეს, - განაცხადა „ქართული ოცნების“ გენერალურმა მდივანმა კახა კალაძემ. „უკრაინაში ომის არდაშვება უნდა იყოს უმათერესი საფიქრალი და საზრუნავი ყველასთვის, ვისაც სამხედრო ესკალაციის თავიდან აცილებაში თუნდაც მცირე წვლილის შეტანა შეუძლია. ჩვენი ძალისხმევაა სწორედ აქეთაა მიმართული და, რა თქმა უნდა, შესაძლებლობის ფარგლებში, ყველაფერს ვაკეთებთ, ვაკეთებდით და მომავალშიც ვაკეთებთ. მინდა, მშვიდობა ვუსურვო უკრაინელ ხალხს“, - აღნიშნა მან.

- ძალიან მნიშვნელოვანი და საინტერესო შეხვედრა იყო გენერალური მდივნის მოადგილესთან და ასევე ნატო-საქართველოს კომისიის ხელმძღვანელთან, რომელსაც სიტყვით მივმართე და მოგვეცა დისკუსიის შესაძლებლობა, - განაცხადა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე შალვა პაპუაშვილმა. „კვლავ მოვისმინეთ მყარი მხარდაჭერა ნატოს წევრი ქვეყნების წარმომადგენლების მხრიდან საქართველოს მიმართ. გვქონდა შესაძლებლობა, მოხსენებაში და შედეგ დისკუსიაში გვესაუბრა დემოკრატიულ რეფორმებზე, რომლებიც საქართველოში ხორციელდება და დაგვემლია გატარდეს განსაკუთრებით საპარლამენტო ზედამხედველობის კუთხით პარლამენტის საქმიანობაში, მათ შორის თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში. ძალიან საინტერესო დისკუსია იყო და ჩვენ მივიღეთ სრული მხარდაჭერა მეგობარი ქვეყნების მხრიდან“, - განაცხადა შალვა პაპუაშვილმა.

შეხვედრა - ირანის კონსულთან

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ გაცნობითი ხასიათის შეხვედრა გამართა ირანის ისლამური რესპუბლიკის გენერალურ კონსულთან ბათუმში ესმაილ თეჟიყე სადათანთან.

თორნიკე რიჟვაძემ ირანელ დიპლომატს თანამდებობაზე დანიშვნა მიულოცა და იმედი გამოთქვა, რომ ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობა კიდევ უფრო გაღრმავდება.

შეხვედრაზე სახი გაეხვა ორი ქვეყნის ურთიერთობებში არსებულ დადებით დინამიკას კულტურულ-ჰუმანიტარულ და სავაჭრო-ეკონომიკურ სფეროებში. აღინიშნა, რომ ყოველწლიურად მზარდია საქართველოსა და ირანს შორის ვაჭრობის მანქნეუბები, რასაც მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს მხარეების ეკონომიკურ განვითარებაში. შეხვედრას ირანის კონსული მოჰპამად რეზა ფორბანიანი ესწრებოდა.



ელენე საყვარელიძე

გაზრდილია სამედიცინო და სოციალური პროგრამების დაფინანსება

აჭარის მთავრობის თავმჯდომარე თორნიკე რიჟვაძემ ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენლებთან სამუშაო შეხვედრა გამართა, რომელზეც 2022 წლის ჯანდაცვისა და სოციალური პროგრამების შესახებ ისაუბრეს.

შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს გაზრდილი ბიუჯეტის ფარგლებში დაგეგმილი პროექტების ეფექტიანობა და მოსახლეობისთვის სერვისის ხელმისაწვდომობა. როგორც აღინიშნა, 2022 წელს აჭარის ჯანმრთელობის

და სოციალური დაცვის სამინისტროს ბიუჯეტი გაიზარდა და 28 121 900 ლარს შეადგენს. ასევე გაზრდილია სამედიცინო და სოციალური პროგრამების დაფინანსება, ბენეფიციართა რაოდენობა, დაინერგა ახალი პროგრამები.

გაიზარდა ბავშვთა სამედიცინო და სოციალური რეაბილიტაციის დაფინანსება, ამოქმედდა ფსორიაზით დაავადებული პაციენტების მკურნალობის ახალი პროგრამა. წელს პირველად დაფინანსდება პაციენტების მკურნალობა მაღალტექნოლოგიური მედიკამენტებით.

გაიზარდა ავთვისებიანი სიმსივნით დაავადებული პაციენტების მკურნალობისათვის საჭირო მედიკამენტების დაფინანსება. წელს დაიწყო ძვლის ტვინის პალეონეოლოგიური ტრანსპლანტაციის დაფინანსება 180 000 ლარით. ტყვიის შემცველობის განსაზღვრის მიზნით, კვლევა 8300 ბენეფიციარს ჩატარდება. კვლავ გაგრძელდება გულის ტრანსპლანტაციის დაფინანსება.



გაიზარდა ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროგრამის თანადაფინანსების მოცულობა და თითოეული ოჯახი საცხოვრებელი ფართის შესაძენად მიიღებს 30 000 ლარს, ნაცვლად 25 000 ლარისა. ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების მოცულობა 5000 ლარითაა გაზრდილი და დაზარალებულები 15 000 ლარის ნაცვლად, 20 000 ლარით დაფინანსდებიან.

საზღვაო შრომის ბაზარზე დასაქმების მსურველებს ახალი შესაძლებლობები მიეცემა. საზღვაო ტურიზმის სფეროში დასაქმების ხელშეწყობის მიზნით კი იწყება მსურველთა გადამზადება.

შეხვედრაზე განიხილეს დასაქმების, სოციალური პროგრამების დაფინანსების და თანადაფინანსების მექანიზმებიც.

ანბა ჩხიშვიანი

უკრაინასთან დაკავშირებით ვითარების კიდევ უფრო დაკავშირებას უნდა ველოდეთ **3**

ვითომ გაიფლავა ნაგებობა? **5**

გამორჩეული გაზეთი «აჭარა»!

ვისაც სურს მიიღოს მაქსიმალურად ზუსტი ინფორმაცია და ობიექტური ანალიზი არა მარტო ჩვენი რეგიონის, სრულიად საქართველოს პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული ცხოვრების მთავარი მოვლენების შესახებ, შესაბამისი თხოვნით მიმართოს სადისტრიბუციო ორგანიზაციას «ბათუმი ექსპრესი» (ქ. ბათუმი, ჭავჭავაძის ქ. №90, ტელ: 555 86 12 21). მისი დახმარებით თქვენს მისამართზე მიიღებთ გაზეთ «აჭარის» ყოველ მომდევნო ნომერს.

გამოიწერეთ და ითანამშრომლეთ გაზეთ «აჭარასთან»!

ჩვენთვის ძვირფასია თითოეული თქვენგანის აზრი!

წამოჭრილი პრობლემების შემთხვევაში



საქართველოს ჩემპიონატი - მშვილდოსნობაში

მანანა კიპიშვილი 598 24 94 97

ორ დღეს მიმდინარეობდა საქართველოს ჩემპიონატი მშვილდოსნობაში, რომელსაც ხელვაჩაურის სასპორტო სკოლაში უმასპინძლა. შეჯიბრებაში 40-მდე სპორტსმენი მონაწილეობდა ქუთაისიდან, თბილისიდან, მარნეულიდან, ბათუმიდან, ხელვაჩაურიდან

ქალთა შორის პირველი ადგილი ციკო ფუტკარაძემ დაიკავა, ხოლო ვაჟთა შორის - სანდრო მაჭავარიანი. ახალგაზრდებში გაიმარჯვეს ნინო ევგენიძემ და თემურ მაკიევიძემ.

მშვილდოსნებისთვის გასული წლის ბოლო შეჯიბრება საქართველოს თასი იყო, რომელსაც მარნეულმა უმასპინძლა, მასში საქართველოს ძლიერი სპორტსმენები მონაწილეობდნენ. შეჯიბრებაში საქართველოს თასის მფლობელი ჩვენი ციკო ფუტკარაძე გახდა. წელს მშვილდოსნებმა პირველი შეჯიბრება ბათუმში გამართეს, დაკომპლექტდა გულდი ევროპის ჩემპიონატისთვის. საქართველოს ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის ბათუმში ემზადება, რომელსაც სლოვენია 17 თებერვლიდან უმასპინძლებს. ისინი ამ მნიშვნელოვანი ღონისძიებისთვის ხელვაჩაურის სპორტდარბაზში მოემზადებიან საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელის თამაზ ფუტკარაძის ხელმძღვანელობით.

ევროპის ჩემპიონატიც დიდებას და ახალგაზრდებში ჩატარდება. სლოვენიაში 12 სპორტსმენი გაემგზავრება, მათ შორის იქნებიან სპორტსმენები აჭარიდან - დიდებში: ხათუნა ნარიმანიძე, ციკო ფუტკარაძე, საბა გათენაძე, ახალგაზრდებში: ნინო ევგენიძე. შევეცდებით კარგი შედეგით დავბრუნდეთ, - გვითხრა თამაზ ფუტკარაძემ.



მიხარია, რომ 2022 წელი წარმატებით დავიწყო, გავხდი საქართველოს ჩემპიონი, კარგი შედეგი ვაჩვენე, როგორც სტარტზე, ისე მეორე დღესაც. საკმაოდ ძლიერი მოწინააღმდეგეები მყავდა, რაც მახარებს, რადგან სპორტსმენები ასეთ დროს კარგ გამოცდილებას ვიღებთ და ცდილობთ, უფრო კარგად ვიასპარეხოთ, იმედა, ევროპის ჩემპიონატიც ჩვენთვის წარმატებული იქნება. ამისთვის შევეცდები კარგად მოვემზადო, - გვითხრა ციკო ფუტკარაძემ.

საქართველოს ჩემპიონატი ხელვაჩაურის სასპორტო სკოლაში ჩავატარეთ და მინდა აღვნიშნო, რომ ამისთვის აქ იდეალური პირობებია. 18 მეტრიდან მშვილდის სროლაში სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფში გამოვლინდნენ გამარჯვებულები, ისინი ყველანი ბათუმში დარჩნენ და ევროპის ჩემპიონატისთვის ემზადებიან, - გვითხრა საქართველოს მშვილდოსნობის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტმა ხათუნა ნარიმანიძემ.

წარმატება ვუსურვოთ მშვილდოსნებს.

მზად, - გვითხრა ციკო ფუტკარაძემ.

მინისტრი - სკოლებსა და სკოლებსა დაწესებულებებში

ოთარ ცინარიძე 599 85 21 14

იანვრის მეორე დეკადაში მოსულმა თოვლმა აჭარის მთიანეთის ეროვნული მეთურნობის ყველა დარგს გარკვეული შეფერხებები შეუქმნა. ჩაიხერგა სოფლებში მისასვლელი გზები, პრობლემები იყო ინტერნეტისა და ელექტროენერჯის მიწოდებაშიც. დიდთოვლობამ აჭარის მთიანეთის სამივე მუნიციპალიტეტში სასწრაფო პროცესის ნორმალურად წარმართვასაც ხელი საგრძნობლად შეუშალა.

იანვრის მეორე დეკადაში ნალექის ინტენსივობა შემცირდა, რამაც ეროვნული მეთურნობის ყველა დარგს და საგანმანათლებლო ქსელს მუშაობა ჩვეულ კალაპოტში დაბრუნების საშუალება მისცა.

აჭარის განათლების, კულტურისა და სპორტის მინისტრი მაია ხაჯიშვილი ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტების ხელმძღვანელებთან ერთად სკოლებში სასწრაფო პროცესის მიმდინარეობას გაეცნო. იგი შეხვდა ქედის მუნიციპალიტეტის წონიარისის, ახოს, შუახევის მუნიციპალიტეტის ხიჭკურის დასახლების, დაბა შუახევის, სხალთის ხეობის საჯარო სკოლების პედაგოგებს, გაესაუბრა მოსწავლეებს, დაინტერესდა გათბობის სისტემის მუშაობით, პედაგოგებისა და მოსწავლეების ურთიერთობებით.

მაია ხაჯიშვილი შუახევის მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებთან ერთად ხიჭკურის დასახლების



სკოლაში დაწესებულებაშიც იმყოფებოდა.

აჭარის მთიანეთში შეხვედრების დასრულების შემდეგ კომენტარი მინისტრ მაია ხაჯიშვილს ვთხოვეთ. - კიდევ ერთხელ შევჯავამეთ აჭარის მთიანეთის სკოლებში არსებული მდგომარეობა. გავცანი თ ადგილებზე რა პირობებია შექმნილი, რა კეთდება სასწრაფო-ადამრდელობითი პროცესის ნორმალურად წარმართვისთვის. ვიყავით წონიარისის, ახოს, ხიჭკურის, დაბა შუახევის, სხალთის ხეობის სკოლებში. პედაგოგები, სკოლების დირექტორები სასწრაფო პროცესის ორგანიზებულად წარმართვისთვის ყველა ღონეს ხმარობენ, - გვითხრა მაია ხაჯიშვილი.

რად წარმართვისთვის. ვიყავით წონიარისის, ახოს, ხიჭკურის, დაბა შუახევის, სხალთის ხეობის სკოლებში. პედაგოგები, სკოლების დირექტორები სასწრაფო პროცესის ორგანიზებულად წარმართვისთვის ყველა ღონეს ხმარობენ, - გვითხრა მაია ხაჯიშვილი.

„ნუ ძალადობ“ - აქცია „ქართული ოცნების“ ოფისთან

„ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერებმა და მათმა მხარდამჭერებმა რამდენიმე დღის წინ თბილისში, მეტრო „ისანში“ შშმ პირზე პოლიციელის მხრიდან ძალადობის ფაქტი გააპროტესტეს. „მწამებელი სისტემა“, „დაისაჯოს მოძალადე“, „ვითხოვთ მშვიდ და სამართლიან გარემოში ცხოვრებას“, „ნუ ძალადობ“ - ამ ლოზუნგებით ისინი პარტია „ქართული ოცნების“ ოფისის წინ შეიკრიბნენ.

აქციის მონაწილეებმა შინაგან საქმეთა მინისტრის პასუხისმგებლობის საკითხის დაყენება მოითხოვეს. მათი თქმით, პრობლემა სისტემურია და მხოლოდ ორი პოლიციელის დაკავება გამოსავალი არ არის.

„ქვეყანაში სისტემური და ძირეული ცვლილებებია საჭირო. პოლიციელის მოქმედება ამ ხელისუფლების გამომახილია, ჩვენ ვერძევით სისტემას, რომელიც ადამიანებზე ფიზიკურად ძალადობს. არ დავეშვებით მსგავს ფაქტებს, ეს ხელისუფლება მალე დასრულდება“, - განაცხადეს შეკრებილებმა და პოლიციელების უმკაცრესად დასჯა მოითხოვეს.

მედია-საშუალებებით გავრცელებულ ვიდეონაწერზე ადგილობრივ ძალადობის ფაქტზე შინაგან საქმეთა სამინისტროს ორი თანამშრომელია დაკავებული, კერძოდ, დამამცირებელი ან არაადამიანური მოპერობის ბრალდებით - შინაგან საქმეთა სამინისტროს საპატრულო პოლიციის დეპარტამენტის მეტროპოლიტენის სამმართველოს მე-3 ოცეულის პატრ-

ულ-ინსპექტორი ნ.ბ., ხოლო სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენების ბრალდებით - ამავე სამმართველოს მე-3 ოცე-

ულის პატრულ-ინსპექტორი კ.ბ.

ანბა ჩხიშვილი



ვაქცინაციის პოპულარიზაციისთვის

სოფლად COVID 19-ის ვაქცინაციის კიდევ უფრო გააქტიურების მიზნით, სამუშაო შეხვედრები გრძელდება. ამჯერად, აჭარის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი ნინო ნიჭარაძე სამედიცინო სფეროს, ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს, მოქალაქეებს ქობულეთის მუნიციპალიტეტში შეხვდა. შეხვედრას ესწრებოდნენ საქართველოს პარლამენტის წევრი ზაად მიქელაძე და მინისტრის მოადგილე მარი ზანაქიძე.

სამუშაო შეხვედრაზე დეტალურად განიხილეს მუნიციპალიტეტში არსებული ეპიდემიოლოგიური ვითარება და ვაქცინაციის პროცესი.

ვაქცინაციის პოპულარიზაციისა და საინფორმაციო კამპანიის ფარგლებში გამართულ შეხვედრაზე განვიხილეთ ვაქცინაციის მარეგულირების განხორციელების ღონისძიებები, რაშიც აქტიური მხარდაჭერა გამოგვიცხადა ადგილობრივმა თვითმმართველობამ. ვცდილობთ, სამიზნე პოპულაციის მოცვის მაჩვენებელი რაც შეიძლება მოკლე დროში 87%-დან 100 %-მდე გავზარდოთ, - განაცხადა ნინო ნიჭარაძემ.

როგორც ქობულეთის მერმა ლევან ზოიძემ აღნიშნა: „მერია მზადაა, კიდევ უფრო აქტიურად ჩაერთოს მოსახლეობის ინფორმირების საკითხში, რათა რაც შეიძლება მეტი ვაქცინირებული მოქალაქე გვყავდეს“.

თანხა ბაიზარდა

ქედის, შუახევისა და ხულოს მუნიციპალიტეტებში მრავლად არიან ოჯახები, რომლებსაც მეწყურმა საცხოვრისი მოუშალა. გარდა ამისა ხანძარმაც რამდენიმე ოჯახი დაიწვა ქვემო დატოვა. მიმდინარე წელს აჭარის მთავრობამ სტიქიითა და ხანძრით დაზარალებული ოჯახების დახმარება გაზარდა. აჭარის მთავრობის გადაწყვეტილებით, 2022 წელს გაიზარდა „ეკომიგრანტი ოჯახების საცხოვრებელი უზრუნველყოფის პროგრამის“ ფარგლებში გათვალისწინებული თანადაფინანსება და თითოეული ოჯახი აჭარის მთავრობის სარეზერვო ფონდიდან საცხოვრებელი ფართის შესაძენად მიიღებს 30 000 ლარს, ნაცვლად 25 000-ისა. ასევე ცვლილება შეეხო ხანძრის შედეგად დაზარალებული ოჯახების ერთჯერადი მატერიალური დახმარების წესს. აღნიშნულ შემთხვევაშიც დაფინანსება გაიზარდა 5000 ლარით და ხანძრით დაზარალებული ოჯახები 15 000 ლარის ნაცვლად მიიღებენ 20 000-ს.

სტიქიით მიყენებული ზიანის სალიკვიდაციო შერეული სამთავრობო კომისიის სხდომაზე, აღნიშნული ცვლილებების გათვალისწინებით, განიხილეს სტიქიისა და ხანძრით დაზარალებული 41 ოჯახის დახმარების საკითხი. კომისიის წევრებისა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარის გადაწყვეტილებით, უახლოეს პერიოდში, აღნიშნულ ოჯახებს აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის 2022 წლის რესპუბლიკური ბიუჯეტით გათვალისწინებული სარეზერვო ფონდიდან გამოეყოფათ 742 094 ლარი. 2021 წელს სარეზერვო ფონდიდან სტიქიით დაზარალებულ 288 ოჯახზე გამოიყოფინაური დახმარება 1 751 703 ლარის ოდენობით.

